სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

14 **ნოემბერი, 2025 წელი**

ბრძანება №01-02/207

ბსუ-ის უწყვეტი სამედიცინო განათლების მოკლევადიანი **ტრენინგ-პროგრამის**
„სტომატოლოგიური პათოლოგიების რადიოლოგიური დიაგნოსტიკის ძირითადი ასპექტები"
გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის №01-02/193 ბრძანების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 19 ივლისის N01-3/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,უწყვეტი სამედიცინო განათლების ცალკეული ფორმები და მათი აკრედიტაციის წესი და კრიტერიუმების (N1 დანართი), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოსადმი ბსუ-ს წერილის (№912340, 24/07/2025წ), ბსუ-ს უსგ ტრენინ-პროგრამის „სტომატოლოგიური პათოლოგიების რადიოლოგიური დიაგნოსტიკის ძირითადი ასპექტები" აკრედიტაციის თაობაზე **პროფესიული განვითარების საბჭოს 2025 წლის 27 აგვისტოს №13 სხდომის გადაწყვეტილების (აკრ. №1141),** პროფესიული განვითარების საბჭოს 2025 წლის 02 სექტემბრის წერილის REG 92500976268 (ბსუ-ში შემოსვლის N1061235, 03/09/2025 წ.), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის" ჯანდაცვის **(რადიოლოგიის) მიმართულების კოორდინატორის,** დავით ცეცხლაძის 2025 წლის 14 ნოემბრის №1609192 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. **დამტკიცდეს** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ 2025 წლის 27 აგვისტოს №13 სხდომის გადაწყვეტილებით (აკრ. №1141) **აკრედიტებული** უწყვეტი სამედიცინო განათლების (შემდეგში - უსგ) **ტრენინგ-პროგრამის** „სტომატოლოგიური პათოლოგიების რადიოლოგიური დიაგნოსტიკის ძირითადი ასპექტები" (დასწრებული ფორმა; მოდულები №1 დანართის შესაბამისად; ტრენინგის ხანგრძლივობა **- 2 დღე,** დღეში 6-6 სატრენინგო საათი) **გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმა,** წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად.
2. წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული სერტიფიკატები შეივსოს და გაცემის რეგისტრაცია განხორციელდეს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის **მინისტრის 2018 წლის 19 ივლისის №01-3/ნ ბრძანებით**

დამტკიცებული ,,უწყვეტი სამედიცინო განათლების ცალკეული ფორმები და მათი აკრედიტაციის წესი და კრიტერიუმების (№1 **დანართი) და ბსუ-ის საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად.**

3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ის ვებგვერდზე.
4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ის პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ამავე ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულებით ჯანდაცვის (რადიოლოგია) მიმართულების კოორდინატორს, პროფესორ დავით ცეცხლაძეს (უზრუნველყოს პროგრამის ტრენერებისათვის დაგზავნა/ინფორმირება), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ბსუ-ის რექტორი **ტიტე არუშიძე**

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 14 ნოემბრის №01-02/207 ბრძანების **№1 დანართი**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

ადასტურებს, რომ ექიმმა

--- ---

..... წლის .... წარმატებით გაიარა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 2025 წლის 27 აგვისტოს №13 სხდომის გადაწყვეტილებით (აკრ. N1141) აკრედიტებული უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამა (ხანგრძლივობა - 2 დღე/12 საათი)

„სტომატოლოგიური პათოლოგიების რადიოლოგიური დიაგნოსტიკის ძირითადი ასპექტები“
და მიენიჭა 12 კრედიტი ქულა

რექტორი /სახელი, გვარი/

პროფესიული პროგრამების მართვისა და
უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი /სახელი, გვარი/

პროგრამის ხელმძღვანელი /სახელი, გვარი/

სარეგისტრაციო № ..../001
გაცემის თარიღი: ... ...